მტ ი ნ ე ! პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი № 77 (12285) | შაბათი, 31 მარტი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

გარდავქმნათ სოფლის მეურნეობის მართვა, გავხადოთ იგი კონკრეტული, ოპერატიული.

ახალი ზღუდეებისათვის!

ასე დაიწყო სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნა

ჩვენი ინტერვიუ

გუშინ „კომუნისტის“ რედაქცია ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგებს თელავისა და ამბროლაურის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებში.

აი რა გვაცნობეს მათ.

ი. მესტვირიშვილი,

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგი თელავის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოში.

ეს დღეები სავსეა ახალი შინაარსითა და ხალისით. მშობლიური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა საჭიროდ ცნო ძირეულად გარდაიქმნას სოფლის მეურნეობის მართვის სისტემა. უკვე შეიძლება ითქვას, რომ თელავის, ახმეტისა და ყვარლის რაიონებში არის სოფლის მეურნეობის მართვის ახალი ორგანო.

სამმართველოს აპარატი უკვე მთლიანად დაკომპლექტებულია გამოცდილი სპეციალისტებით — აგრონომებით, ვეტექიმებით, ზოოტექნიკოსებით. მევენახე აგრონომად დანიშნულია შ. იორდანაშვილი, რომელსაც ამ დარგში მუშაობის კარგი გამოცდილება აქვს. ზოოტექნიკოსი ა. ოთარაშვილი და ახმეტის რაიონის ყოფილი დამზადების რაიონული ინსპექციის უფროსი ა. თუნიაშვილი დაინიშნენ ინსტრუქტორ-ორგანიზატორებად. გუშინ გაიმართა სამმართველოს აპარატის მუშაკთა თათბირი. განაწილდა ზონები, თვითეულ მუშაკს მიეცა კონკრეტული დავალება და რჩევა მომავალი მუშაობისათვის. სამმართველოს აგრონომები და ინსტრუქტორ-ორგანიზატორები უკვე გავიდნენ მინდვრად, პრაქტიკულად შეუდგნენ მოვალეობის შესრულებას.

ამჟამად სამმართველოში შემავალ 54 კოლმეურნეობასა და 6 საბჭოთა მეურნეობაში გაცხოველებით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. ყვარლის რაიონში უკვე დაიწყო სიმინდის თესვა. სულ მალე თესვა გაჩაღდება თელავისა და ახმეტის რაიონებშიც. ამ გაზაფხულზე სამმართველოში შემავალმა მეურნეობებმა სიმინდი უნდა დათესონ 13.828 ჰექტარზე. თესლი ყველგან მომარაგებულია, მზად არის სასოფლო-სამეურნეო მანქანებიც.

წელს სამმართველოს მეურნეობებში უნდა დამზადდეს 15.850 ტონა მარცვლეული, 1.165 ტონა ხილი, 37.000 ტონა ყურძენი, 3.474 ტონა ხორცი, 6.578 ტონა რძე, 657,3 ტონა მატყლი, 209 ტონა აბრეშუმის პარკი. ჩვენ უკვე ვიფიქრეთ, თუ როგორ მოვაწყოთ პროდუქტების დამზადება.

წინ უდიდესი საპასუხისმგებლო ამოცანებია. უნარიანად მართო სოფლის მეურნეობის წარმოება და პროდუქტების დამზადება — ეს ჩვენგან დიდ მონდომებასა და ენერგიას მოითხოვს.

მ. ჯინჭველაშვილი,

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ამბროლაურის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოში.

სვანეთის თოვლიანი მთებიდან წყლუკიძის რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებამდე, აღმოსავლეთით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრამდე ასობით კილომეტრებზე გაწლილია ამბროლაურის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოში შემავალი 125 კოლმეურნეობა. ამ მეურნეობებს ასი ათასამდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები აქვთ.

გაზაფხულის ხალისიანი დღეებია ახლა ყველგან. კოლმეურნეები უსვამოსავალს უყრიან საფუძველს. საკოლმეურნეო მინდვრებში, მეცხოველეობის ფერმებსა და ვენახებში გახურებული მუშაობაა: თესვისათვის ამზადებენ ნაკვეთებს, აშენებენ ახალ ვენახებს, შეაქვთ სასუქები... დაბლობი ზონის კოლმეურნეობებში აპრილის პირველი რიცხვებიდან თესვა დაიწყება.

ცაგერის, ამბროლაურისა და ონის რაიონებში წელს პირველად ითესება პარკოსანი კულტურები სოია და ბარდა. გათვალისწინებულია, რომ სიმინდის მოსავლის აღების შემდეგ ნაწვერალზე დაითესოს 500 ჰექტარი ბარდა.

საწარმოო სამმართველოს დაკომპლექტება ძირითადად დამთავრდა. სამუშაოდ შერჩეული არიან სოფლის მეურნეობის ყველაზე გამოცდილი სპეციალისტები. ახლა კი მინდვრად გვიხმობს კოლმეურნეობებში ფართოდ გაჩაღებული საგაზაფხულო სამუშაოები. აგრონომები, ზონების ინსტრუქტორ-ორგანიზატორები დღეს დილიდანვე მინდვრად გავიდნენ. დაიწყო დიდი ამოცანების შესრულების პირველი დღეები...

დაკომპლექტდა საბჭოც, რომელშიც სამმართველოს უფროსს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგს, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის კომორგს გარდა, შედიან პარტიის რაიკომების პირველი მდივნები, აღმასკომის თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მოწინავე კოლმეურნეები, სულ 35 კაცი. საბჭოს პირველი სხდომა დღეს გაიმართება.

ეს ჩვენი პირველი ნაბიჯებია. მთავარი მუშაობა წინ არის. პარტიის ამბროლაურის, ონის, ცაგერისა და ლენტეხის რაიკომებთან, რაისაბჭოს აღმასკომებთან ერთად მჭიდრო თანამშრომლობით ყველა ღონისძიებას ვიხმართ, რომ მიმდინარე წელსვე მივიღოთ სასურველი შედეგები.

ᲒᲐᲠᲓᲐᲕᲥᲛᲜᲐᲗ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ, ᲒᲐᲕᲮᲐᲓᲝᲗ ᲘᲒᲘ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ, ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

**ᲯᲘᲜᲐᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲗᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲗᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲘ. ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲗᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ Შ. ᲯᲘᲜᲩᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲘ ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐ�წᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲗᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲘ. ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲗᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ Შ. ᲯᲘᲜᲩᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲘ ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐ�წᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲔᲜ. ᲒᲐ. ᲘᲒᲜᲐᲢᲝᲕᲘ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲗᲔᲡᲕᲐ ᲒᲐᲩᲐᲦᲓᲐ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობების მინდვრებზე დაიწყო საგაზაფხულო კულტურების თესვა. თესვას რაიონში ერთ-ერთი პირველი შეუდგა დაბა ვალეს კოლმეურნეობა, რომელიც 350 ჰექტარზე დათესავს საგაზაფხულო კულტურებს.

მოწინავე ტრაქტორისტი პ. დემეტრაძე „დტ-54“ მარკის ტრაქტორით ყოველდღიურად 8-10 ჰექტარზე თესავს გაზაფხულის ქერს. თესვის ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ სოფლების საროს და ხიზაბავრის კოლმეურნეობების ტრაქტორისტები ლ. ასპანიძე, პ. ლონდარიძე, ს. გელაშვილი, შ. ადეიშვილი და სხვები.

ბარდის თესვა გაჩაღდა დაბა ადიგენისა და აწყვიტის კოლმეურნეობებში, აწყურისა და ადიგენის საბჭოთა მეურნეობებში.

ახალციხელი მხვნელ-მთესველების მტკიცე გადაწყვეტილებაა 15 აპრილამდე დაამთავრონ საგაზაფხულო თესვა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

წყალტუბო. (საკ. კორ.). სოფლის მშრომელები ხელებდაკაპიწებული შრომობენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. დიდი აღმავლობით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. მთავრდება სიმინდის სათესი ფართობების ხვნა, ჩაის ბუჩქების სხვლა. გაჩაღდა ბოსტნეულის თესვა.

წყალტუბოელმა მხვნელ-მთესველებმა უკვე მოიპოვეს პირველი გამარჯვება — გადამეტებით შეასრულეს ბარდის საგაზაფხულო თესვის დავალება. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ეს ძვირფასი პარკოსანი კულტურა 324 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 398 ჰექტარზე.

გეგმასთან შედარებით ბარდა თითქმის ერთიორად მეტ ფართობზე დათესეს ოფშკვეთის, საყულიის, პატრიკეთის, მუხიანის, სორმნისა და ზედა მესხეთის კოლმეურნეობებმა.

ბარდის საგაზაფხულო თესვა გრძელდება...

რაიონის მშრომელებს გადაწყვეტილი აქვთ სიმინდის მოსავლის აღების შემდეგ ბარდა კიდევ უფრო დიდ ფართობზე 3.000 ჰექტარზე დათესონ.

ᲑᲐᲠᲓᲐ — ᲐᲗᲐᲡᲘ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ

ᲬᲧᲚᲣᲙᲘᲫᲔ. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში წელს ბარდას ათასს ჰექტარზე დათესავენ. ეს კულტურა უკვე დათესილია 20 ჰექტარზე. ამ გაზაფხულზე კიდევ ორმოცდაათი ჰექტარი დაითესება, საიდანაც საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე 20 ცენტნერი სათესლე ბარდა უნდა მიიღონ.

დანარჩენ ფართობზე წულუკიძელები ბარდის პირუტყვის საკვებად დათესავენ სიმინდის მოსავლის აღების შემდეგ.



ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ რაიონი. დიდი ავტორიტეტით სარგებლობს კოლმეურნეთა შორის სოფელ შუაგანახლების მარქსის სახელობის არტელის მეჩაიე სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ეთერი ჯიბუტი. შარშან მან გაპირონენებულ 0,6 ჰექტარზე მიიღო 8 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, წელს კი ეთერიმ იკისრა ამავე ნაკვეთზე მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩაბარეს 9 ტონა „მწვანე ოქრო“.

ახლა ე. ჯიბუტი მეთაურობს მის მიერ შექმნილ მოწინავე გამოცდილების სკოლას, რომელიც აერთიანებს 22 ჩაის მკრეფავს. პირველ მეცადინეობაზე ე. ჯიბუტმა მეჩაიეებს გააცნო საკუთარი გამოცდილება ჩაის მოსავლიანობის გადიდებაში.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: სოციალისტური შრომის გმირი ე. ჯიბუტი (მეორე მარჯვნივ) ატარებს მეცადინეობას მეჩაიეებთან.

ფოტო გ. გერსამიასი. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲡᲐᲮᲕᲔᲚᲘ, ᲚᲐᲛᲐᲖᲐᲓ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲓ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

ᲒᲘ ᲛᲐᲠᲢᲡ ᲡᲙᲪ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢᲣᲠ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲗᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲠᲔᲡᲪᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, უმაღლეს სასწავლებლთა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთა წარმომადგენლები, მწერლები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. სტურუამ.

მოხსენება „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება“ „გამომცემლობათა მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ“ და რესპუბლიკაში საგამომცემლო საქმის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ მ. გოგიჩაიშვილმა.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი მ. მაისურაძე, საქართველოს [illegible] ალმანახის „ცისფერი ყანა“ [illegible] ბ. [illegible] ის ვიცე-პრეზიდენტი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ი. დოლიძე, საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი პოეტი ხ. ბერულავა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. სარაძე, მწერალი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ბამსასურიძე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე მ. ხმარაცია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. კვაშაძე, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს უფროსი ბ. ხუციშვილი, „საქნიგნის“ მმართველი ა. კობახიძე, მწერალი დ. შენგელია, აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი ვ. ახვლედიანი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი ვ. ბასიევი, პოეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბ. ლეონიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი შ. ნუცუბიძე.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. სტურუამ.

დაწვრილებითი ანგარიში თათბირის შესახებ გამოქვეყნდება. (საქდესი).

ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ ᲛᲐᲓᲐᲜᲡ

მოსკოვი, 29 მარტი. (საკდესი). გავარვარებული გაზის ჭავლები, წვის კამერიდან რომ გამოვარდება, გავარვარებულ სანგრევში შედის. მთის ქანი ინგრევა და ორთქლი ზედაპირზე ისვრის.

ასე მოქმედებს მეტად მაგარი მადნის ამოღებისას ახალი საბურღავი ცეცხლჭავლური ნარი „სბო“. იგი დამონტაჟებულია თვითმავალი მუხლუხა ურიკაზე. კვების სისტემა შედგება სათბობის ავზისაგან, რომელსაც ტუმბო აქვს და მილსადენებისაგან ნავთის, ჟანგბადისა და წყლისათვის. „სბო“-ს მართვა პულტიდან ხდება. მისი მწარმოებლობა — ოთხი-შვიდი მეტრი ჭაბურღილია საათში. ბაგირულ-დარტყმით ბურღვასთან შედარებით წლიური ეკონომია ერთი ცეცხლჭავლური აგრეგატის გამოყენებისაგან 80 ათას მანეთს შეადგენს.

ᲥᲔᲜᲔᲕᲐᲨᲘ

18 ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘ

ქენევა, 29 მარტი. საკდესის სპეც. კორ. ა. კისლოვი იუწყება:

ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲕᲔᲜᲔᲡᲣᲔᲚᲐᲨᲘ

ᲙᲐᲠᲐᲙᲐᲡᲘ, 30 მარტი. (საკდესი). ამ უკანასკნელ ხანს ვენესუელის სხვადასხვა რაიონიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებენ პარტიზანები ვენესუელის მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. როგორც გაზეთი „ნაციონალი“ იუწყება, პარტიზანთა ახალი შეტაკებანი მთავრობის ჯარებთან მოხდა იარაკუის შტატში.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲒᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ

დასავლეთი ბერლინი, 30 მარტი. (საკდესი). გრძელდება ამერიკის სამხედრო ქვეგანაყოფების დემონსტრაციული მოძრაობა ავტოსტრადით, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზეა. როგორც იუწყება გაზეთი „დერ ტაგესშპიგელი“, რომელიც იმოწმებს დასავლეთ ბერლინში ამერიკელ ხელისუფალთა წარმომადგენლის განცხადებას, გუშინ აქედან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაიგზავნა დასავლეთ ბერლინში დაბინავებული ამერიკის ბრიგადის ნაწილების ერთ-ერთი ქვეგანაყოფი.

ᲨᲢᲠᲐᲣᲡᲘ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲐᲟᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘ

ბონი, 30 მარტი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის ქალაქ მაინცში მიმდინარეობს ბუნდესვერის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის თათბირი. თათბირში მონაწილეობს ბუნდესვერის 200-ზე მეტი გენერალი და მაღალი თანამდებობის ოფიცერი, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის თანამშრომელი. თათბირზე მოსხენება „თანამედროვე სამხედრო პოლიტიკა და სამხედრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები“ გააკეთა თავდაცვის მინისტრმა შტრაუსმა.

მიუხედავად მკაცრი საიდუმლოობისა, პრესაში გამოქვეყნდა ზოგიერთი ცნობა შტრაუსის გამოსვლის შინაარსის შესახებ. ეს ცნობები ცხადყოფენ, რომ ბონის თავდაცვის მინისტრი მოითხოვდა შემდგომ ფორსირებულ საომარ მზადებას დასავლეთ გერმანიაში. მისი სიტყვით, ნატოს უკანასკნელ გეგმები სულ უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებენ დასავლეთ გერმანიას. შტრაუსმა კატეგორიულად უარყო ყველა წინადადება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კოლოსალური სამხედრო ბიუჯეტის შემცირების შესახებ.

მან კვლავ მხარი დაუჭირა „ატომური დამენების“ ყბადაღებულ თეორიას და მოითხოვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ატომური პარტნიორობა დასავლეთ სახელმწიფოებთან, ესე იგი არსებობად მოითხოვა ის, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ნატოს ფარგლებში მიანიჭონ უფლება განაგებდეს ატომურ იარაღს. ბონელმა მინისტრმა მუქი და პესიმისტური ფერებით დახატა ქენევის თათბირი განიარაღების შესახებ.

ᲣᲞᲐᲢᲐᲙᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

☐ **რუსთავი.** ცემენტის ქარხნის კოლექტივმა სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა — 28 მარტისათვის პირველი კვარტალის გეგმა დადაჭარბებით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამომვებულია ცემენტი, კლინკერი, წიდა-ქვიშა, კრამიტი.

გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გამოწვისა და ცემენტის დაფქვის საამქროებმა.

☐ **ტყიბული.** დასავლეთის შახტის კოლექტივმა, რომელიც კომუნისტური შრომის სახელისათვის იბრძვის, მარტში ახალი შრომითი წარმატება მოიპოვა. პირველი კვარტალის სათბობის ამოღების გეგმა ხუთი დღით ადრე შეასრულა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა რამდენიმე ეშელონი სათბობი.

☐ **ფოთი.** ავტოსატრანსპორტო კანტორის კოლექტივმა 15 მარტისათვის პირველი კვარტალის ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 139 ათასი ტონა ტვირთის ნაცვლად გადაზიდულია 161 ათასი ტონა, 1.691 ათასი ტონა-კილომეტრის ნაცვლად გამომუშავებულია 1.696 ათასი ტონა-კილომეტრი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ტვირთზიდვა 11 პროცენტით გაიზარდა.

☐ **აგარა.** შაქრის ქარხნის კოლექტივმა შვიდწლედის მეოთხე წელი დიდი შრომითი აღმავლობით დაიწყო და განვლილ პერიოდში სასახელო წარმატებას მიაღწია. 29 მარტისათვის პირველი კვარტალის საწარმოო გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი ცენტნერი შაქარი მისცა.

☐ **ახალციხე.** შვიდწლედის მეოთხე წელს თვალსაჩინო საწარმოო გამარჯვებებს აღწევს გეოლოგიურ-საძიებო პარტიის კოლექტივი, რომელმაც 234,3 პროცენტით შეასრულა სამთო გამონამუშევრების გაყვანის იანვრის დავალება. შრომის ტემპი არც თებერვალ-მარტში შენელებულა. გეგმის გადამეტებით გაყვანილია 50 გრძივი მეტრის სამთო გამონამუშევარი.

თანამოსაძმეებს გზას უნათებენ გამყვანი შუქურები: ბ. დანგაძე, დ. ჯანელიძე, გ. გინოსიანი და ლ. აღაბაბიანი, რომლებიც უკვე მაისის ანგარიშში მუშაობენ.

ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელშიც განიხილა რესპუბლიკაში მსხვილი სამრეწველო გაერთიანებების — საბჭოთა ფირმების შექმნისათვის მზადების საკითხი. თათბირზე მამოვიდნენ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს დელეგაციის წევრები, რომლებიც იყვნენ ქალაქ ლვოვში, რათა შეეხედავთ გამოცდილება საბჭოთა კავშირში პირველი მსხვილი სამრეწველო გაერთიანების — ფირმების — „პროგრესისა“, რომელიც აერთიანებს ფეხსაცმლის ხუთ საწარმოს, და „განთიადისა“, რომელშიც შედის ლვოვის ადმინისტრაციულ-ეკონომიური რაიონის ოთხი ტყავის ქარხანა.

აღინიშნა, რომ ახალი საორგანიზაციო ფორმა — მსხვილი სამრეწველო გაერთიანებები — ფირმები მრეწველობის მართვის ტერიტორიული პრინციპის შემდგომი განვითარებაა. ეს ფირმები ხელს შეუწყობენ წარმოების კონცენტრაციასა და სპეციალიზაციას, მოწინავე გამოცდილების გავრცელებას, ტექნიკურ პროგრესს, ხარისხის გაუმჯობესებას, პროდუქციის გაიაფებას, გამსხვილებული სამრეწველო გაერთიანებების მარკის შექმნას.

თათბირმა მიზანშეწონილად ცნო გულდასმითი მომზადების შემდეგ მოეწყოს მსხვილ

როგორ იწერებოდა „რა ვაკეთოთ?“

ლენინის წიგნის „რა ვაკეთოთ?“ გამოსვლის 60 წლისთავი

60 წლის წინ, 1902 წლის მარტში, გამოვიდა ვ. ი. ლენინის ცნობილი წიგნი „რა ვაკეთოთ?“ იგი დაიწერა საზღვარგარეთ, ქალაქ მიუნხენში, სადაც ლენინი არალეგალურად ცხოვრობდა.

1901 წლის მაისში გაზეთ „ისკრაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „რით დავიწყოთ?“ ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ეს სტატია წარმოადგენს „გეგმის მონასახს, რომელსაც უფრო ვრცლად ვაკეთარებთ დასაბეჭდად გამზადებულ ბროშურაშიო“. უკვე 1901 წლის ნოემბერში ლენინი აღნიშნავდა, რომ ნაშრომი „მზადდება და მოკლე ხანში გამოქვეყნდება“. იმავე წლის დეკემბერში „ისკრაში“ დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატია „საუბარი ეკონომიზმის დამცველებთან“, რომელსაც ავტორი შემდგომში წიგნის „რა ვაკეთოთ?“ კონსპექტს უწოდებდა.

ნაშრომზე ვ. ი. ლენინი მეტად დაძაბულად მუშაობდა. „როცა წერდა, იგი ჩვეულებრივ სწრაფად დადიოდა კუთხიდან კუთხეში და ჩურჩულით ამბობდა იმას, რის დაწერასაც აპირებდა“,— იგონებდა ნ. კ. კრუპსკაია.

იმ ხანად ვლადიმერ ლენინი მიუნხენის ბიბლიოთეკებისა და სხვა წიგნსაცავების ხშირი სტუმარი იყო. 1902 წლის დასაწყისში მან ბევრი ამონაწერი გააკეთა გერმანულ ჟურნალ „ნოვოე ვრემიადან“ და გაზეთ „ვპერიოდიდან“. ამ ამონაწერების ერთი ნაწილი ვ. ი. ლენინმა გამოიყენა წიგნში „რა ვაკეთოთ?“ დ. ბ. რსდმპ პროგრამის პროექტის შედგენის დროს.

წიგნზე მუშაობა ვ. ი. ლენინმა 1902 წლის იანვრის შუა რიცხვებში დაამთავრა. ხელნაწერი მაშინვე განიხილეს „ისკრის“ რედაქციაში, ხოლო უკვე 25 იანვარს ვ. ი. ლენინი ატყობინებდა გ. ვ. პლეხანოვს, წიგნი აწყობის პროცესშიაო...

1902 წლის თებერვალში ვ. ი. ლენინმა დაწერა წიგნის „რა ვაკეთოთ?“ წინასიტყვაობა, ხოლო მარტში წიგნი „რა ვაკეთოთ? ჩვენი მოძრაობის საჭირბოროტო საკითხები“ გამოვიდა გერმანიაში, ქალაქ შტუტგარტში „ფაუდონიმით „ნ. ლენინი“. იგი გამოსცა ცნობილი გერმანელი სოციალ-დემოკრატის დიცცის გამომცემლობამ.

ვ. ი. ლენინის ამ წიგნის გამოსვლის შესახებ განცხადება დაიბეჭდა გაზეთ „ისკრის“ 1902 წლის 10 მარტის ნომერში. დაახლოებით ერთ თვის შემდეგ ვ. ი. ლენინმა გამოაქვეყნა წერილი „შესწორება ბროშურაში „რა ვაკეთოთ?“, რომელიც აგრეთვე გაზეთ „ისკრაში“ დაიბეჭდა.

1907 წელს ნაშრომის „რა ვაკეთოთ?“ ხელმეორედ გამოცემისას კრებულში „12 წლის მანძილზე“ ვ. ი. ლენინმა გამოტოვა მეხუთე თავის „ა“ პარაგრაფი: „ვინ დარჩა ნაწყენი სტატიით „რით დავიწყოთ“?“ და წინასიტყვაობაში აღნიშნა, ნაშრომს ვაქვეყნებთ „სულ მცირეოდენი შემოკლებით, ვტოვებ მხოლოდ ორგანიზაციული ურთიერთობის დეტალებს ან წვრილმან პოლემიკური ხასიათის შენიშვნებს“. ახალ გამოცემას ვ. ი. ლენინმა დაურთო ხუთი ახალი ტექსტქვეშა შენიშვნა.

ვ. ი. ლენინმა წიგნს „რა ვაკეთოთ?“ ასეთი ეპიგრაფი წაუმძღვარა: „...პარტიული ბრძოლა ძალასა და სიცოცხლეს მატებს პარტიას, პარტიის სისუსტის უდიდესი დამამტკიცებელია მისი უსახობა და მკვეთრად აღნიშნული საზღვრების წაშლა. პარტია მტკიცდება იმით, რომ სწმენდს თავის თავს... „ეპიგრაფი მოყვანილია მარქსისადმი მიწერილ ლასალის წერილიდან, რომელიც გაზავნილია 1852 წლის 24 ივნისის თარიღით. ეს ეპიგრაფი მკითხველს წინასწარ აძლევს წარმოდგენას წიგნის მიმართულებაზე, მის იდეაზე, მიზან-ამოცანებზე.

წიგნის „რა ვაკეთოთ“ გამოსვლას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის რევოლუციური მოძრაობისათვის. „ყველგან ვიუნებთ, — წერდა „ისკრის“ ერთ-ერთი აგენტი,— ლენინის გუთანს, როგორც ნიადაგის საუკეთესო, ნაყოფიერ დამუშავებელს. ის მშვენივრად აძრობს ქურქს რუთინას, აფხვიერებს ნიადაგს, რომელიც მარცვლოვანთა აღმოცენებას გვპირდება. თუ გზაზე შეგვხვდება „რაბოჩეე დელოსაგან“ დათესილი დეგარელი, იგი ყოველთვის ძირფესვიანად სპობს მას“. რსდმპ პეტერბურგის კომიტეტი თავის განცხადებაში „ისკრისადმი“ შეეხებოდა შესახებ მიუთითებდა, რომ ის მივიდა რწმენამდე, რომ საჭიროა დამთავრდეს კუსტარულობის პერიოდი.

მოსკოვის კომიტეტმა დაადგინა მადლობა გამოეცხადებინა წიგნის „რა ვაკეთოთ?“ ავტორისათვის. ტულის კომიტეტი იუწყებოდა, რომ მხოლოდ ლენინის წიგნის გამოსვლის შემდეგ კომიტეტმა და ყველაზე უფრო შეგნებულმა მუშებმა გაიგეს „ისკრის“ ნამდვილი პოზიცია და მიზანი“. ცომბრის კავშირი წერდა: „ლენინის წიგნი „რა ვაკეთოთ?“ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მოქმედ სოციალ-დემოკრატებზე და ორგანიზაციული და ტაქტიკური საკითხების მხრივ ამთავრებს „ისკრის“ შეხედულებათა გამარჯვებას“. „ისკრის“ ორგანიზაცია რსდმპ II ყრილობისადმი წარდგენილ მოხსენებაში შემდეგნაირად ახასიათებდა ლენინის წიგნის გავლენას: „ამასთანავე „რა ვაკეთოთ?“ ძლიერ გავლენას ახდენს რუს მოღვაწეებზე. მთელი რიგი პირები, მათიანე საკუთარი აღიარებით, „ისკრის“ მომხრენი ხდებიან ამ წიგნის გავლენის მეოხებით“.

ვ. ი. ლენინის წიგნი „რა ვაკეთოთ?“ ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში. იგი ჩვენში შემოიტანეს მისი გამოცემისთანავე. წიგნს გატაცებით სწავლობდნენ და ეწიოდნენ მის პროპაგანდას. ვ. ი. ლენინის ამ და სხვა ნაშრომების, აგრეთვე გაზეთ „ისკრის“ იდეური ზეგავლენით საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში სულ უფრო მკვეთრად ისმებოდა საკითხი ერთიანი პარტიის შექმნის შესახებ, უფრო ძლიერდებოდა გამაერთიანებელი მუშაობა.

1904 წლის 13 მაისს ქუთაისის მაზრის სოფელ ჩხვიშორის გლეხთა კრების ორგანიზატორებსა და პროპაგანდისტებს დაპატიმრებისას აღმოაჩნდათ ლენინის ნაშრომი „რა ვაკეთოთ?“ 1905 წლის 28 ივნისს მიხა ცხაკაიამ (ლეონოვის ხელმოწერით) თბილისიდან ვ. ი. ლენინს გაუგზავნა პარიზი, რომელშიც აღწერდა საქმის ვითარებას რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანიზაციებში და აცნობდა მას, რომ ადგილობრივ ორგანიზაციებში დიდი მოთხოვნილებაა შრომებზე „რა ვაკეთოთ?“ და „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“.

პოლიციის დეპარტამენტმა 1902 წლის 3 აპრილს შეადგინა საქმე ვ. ი. ლენინის წიგნის „რა ვაკეთოთ?“ გამოსვლის თაობაზე. ამ საქმეში არსებულ ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: „დაახლოებით ერთი თვის წინათ საზღვარგარეთ გამოვიდა ვ. ი. ლენინის ბროშურა „რა ვაკეთოთ?“, რომელმაც დიდი სენსაცია გამოიწვია. ჩვენთვის ეს ბროშურა თავისი შინაარსის მიხედვით საინტერესო არ არის“. ანდარმერიის ჩინოვნიკი, როგორც ვხედავთ, ვერ ხედებოდა, თუ რა გიგანტურ ამფეთქებელ ძალას შეიცავდა ეს უკვდავი ნაშრომები, რომელმაც იდეოლოგიური საფუძველი ჩაუყარა ჩვენს პარტიას.

ვ. ი. ლენინის წიგნი „რა ვაკეთოთ?“ სსრ კავშირში დღეისათვის გამოცემულია 47 ენაზე 6 მილიონ 625 ათასი საერთო ტირაჟით.

შ. გოგიძე.

სურათზე: ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის ახალგაზრდა მოწინავე მუშები, (მარცხნიდან მარჯვნივ) ხარატთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი თ. დოღონაძე, სატრანსპორტო სამქროს მუშა ვ. რემენიუკი, ზეინკალი გ. გაბადაძე, ალმრიცხველი ც. ქურდოლაძე, შემომხვევი ზ. ბერეკაშვილი და მეაპარატე ს. ილჩენკო, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ დავალებას.

ფოტო გ. გერსამიასი. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ეკონომიკის ფრონტი — კომუნიზმს!

სკკპ ისტორიული XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნის კოლექტივმა გამოიჩინა ძვირფასი ინიციატივა — მოუწოდა რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებს მოეწყოს ფართო სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკის ეკონომიკის ფონდის გადიდებისათვის. ამ მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურნენ მოწინავე საწარმოთა კოლექტივები და ყოველთვიურად ახალ წარმატებას აღწევენ.

□ □

პირველი გამარჯვება

თბილისის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ა. რობაქიძე) სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე დაძლია ყოველგვარი სიძნელე, მუშაობის მაღალი ტემპი აიღო და პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე შესრულა.

წარმოების კოლექტივმა დანადგარების მაქსიმალური გამოყენებით, შრომის გონივრულად მოწყობის შედეგად წლის პირველ ორ თვეში გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 6,9 პროცენტით გაადიდა, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 2.000 მანეთით შეამცირა. ნედლეულისა და მასალების ეკონომიური ხარჯვით ორ თვეში დაზოგილია სუპირე ტყავი 23.900 კვადრატული დეციმეტრი, საძირე ტყავი — 3.600, ხოლო სასარჩელე ტყავი — 5.900 კვადრატული დეციმეტრი. დაზოგილი მასალებით გამოშვებულია 2.000 წყვილი ფეხსაცმელი. მკვეთრად ამაღლდა პროდუქციის ხარისხი, შემცირდა სხვადასხვა ხარჯები, გაუმჯობესდა წარმოების ეკონომიური მაჩვენებლები.

წარმოების კოლექტივმა მარტო განვლილ ორ თვეში რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში 2.300 მანეთი შეიტანა.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის კამვოლური ნართის წარმოების კოლექტივი მომპირნეობით ხარჯავს ძვირფას ნედლეულს და ყოველწლიურად სამშობლოს დიდ ეკონომიას აძლევს.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და ნედლეულის ეკონომიურ ხარჯვაში წარმოების ბუნრმა ბრიგადამ და ცალკეულმა დამკვრელმა ისახელა თავი. გამოცდილი ოსტატების დახმარებით აქ მრავალი ახალგაზრდა ფეიქარი აღიზარდა, რომლებმაც თავიანთ მასწავლებლებს შრომაში გაუსწრეს. მათ შორის აღსანიშნავია ნართის მომმხსნელი ეთერ გუდიშვილი, რომელიც უწუნოდ მუშაობს და ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

• • •

სურათზე: ეთერ გუდიშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

კერამიკოსების პიროგა მტკიცეა

შვიდწლედის მეოთხე წლის დასაწყისიდანვე თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივი (დირექტორი ვ. ურუშაძე) წარმატებით იბრძვის საწარმოო გეგმის ყველა მაჩვენებლით შესრულებისათვის, გონივრულად და ნაყოფიერმა შრომამ სასახელო ნაყოფი გამოიღო. საწარმოს კოლექტივმა პირველი კვარტალის გეგმა 24 მარტისათვის შესრულა და გეგმის გადამეტებით 42 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

კერამიკოსებმა, განვლილ პერიოდში სამშობლოს გეგმის გადამეტებით მესცეს 13 ათასი კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები, 1.600 ცალი სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობა. მანქანებისა და დანადგარების მაქსიმალური გამოყენებით, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვით საწარმოში ორ თვეში შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაიზარდა 5,2 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა 2,5 პროცენტით.

პირველ კვარტალში მკვეთრად გაუმჯობესდა წარმოების ეკონომიური მაჩვენებლები. განვლილ პერიოდში მიღებულია ზეგეგმითი დაგროვება. მარტო ორ თვეში რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეტანილია 12 ათასი მანეთი.

ეკონომიკური ანალიზი

ეკონომიკური ანალიზი

ეკონომიკური ანალიზი

ჯერ თქვენზეა, დასავლეთელო პარტნიორებო!

ს. კ. ცარაპკინის გამოსვლა

ჟენევა, 29 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის ქვეკომიტეტის სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ს. კ. ცარაპკინი.

საბჭოთა წარმომადგენელმა გააკრიტიკა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიცია ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხში.

ს. კ. ცარაპკინმა მოიყვანა ეროვნული საშუალებებით სხვა ქვეყნის ატომურ აფეთქებათა აღმოჩენის რამდენიმე დამაჯერებელი მაგალითი.

თუ ამერიკის შეერთებული შტატები, თქვა ს. კ. ცარაპკინმა, კვლავ ამტკიცებენ, რომ კონტროლის ეროვნული საშუალებანი მათთვის მიუღებელია და მოითხოვენ საერთაშორისო კონტროლს, ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ამას ისინი იმიტომ კი არ აკეთებენ, რომ აღმოჩენის ეროვნული საშუალებანი ვერ უზრუნველყოფენ კონტროლს შეთანხმების დაცვისადმი, არამედ იმიტომ, რომ ეროვნული კონტროლი არ აძლევს მათ დაზვერვისა და ჯაშუშობის განხორციელების შესაძლებლობას. მაგრამ ჩვენ არასოდეს არ დავთანხმებით იმას, რომ გავაღოთ ჩვენი ტერიტორია უცხოეთის დაზვერვათა საქმიანობისათვის.

დასავლეთის სახელმწიფოებმა კარგად იცინან, რომ სსრ კავშირი არ დაეთანხმება ასეთ კონტროლს და მაინც მოითხოვენ მას, რადგან ეძებენ საბაბს, რომ ჩაშალონ შეთანხმება გამოცდის შეწყვეტის შესახებ და მოაწყონ ატომური იარაღის გამოცდა ატმოსფეროში, რის შესახებაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება.

ახლა უკვე საბოლოოდ ნათელი გახდა, ამბობს ს. კ. ცარაპკინი, რომ როცა უარყოფენ ეროვნულ კონტროლს და მოითხოვენ საერთაშორისო კონტროლს, დასავლეთის სახელმწიფოები ხელმძღვანელობენ არა კონტროლის მოთხოვნებით, არამედ თავიანთი დაზვერვის ინტერესებით.

ამასთან დაკავშირებით ს. კ. ცარაპკინმა კვლავ გაიმეორა, რომ საბჭოთა კავშირს არ სურს გასწიოს ასეთი საქმიანობა თავისი პარტნიორების ტერიტორიაზე, მაგრამ არც იმას დაუშვებს, რომ თავისი ტერიტორია გაადოს უცხოეთის დაზვერვათა საქმიანობისათვის. მოლაპარაკება ჩიხიდან რომ გამოვიდეს, თქვა შემდეგ ს. კ. ცარაპკინმა, საბჭოთა მთავრობამ 1961 წლის 21 ნოემბრს შეიტანა ახალი წინადადება, რომელიც ითვალისწინებს სხვა ახალ მიდგომას ატომური იარაღის გამოცდის პრობლემის გადაჭრისადმი.

ახალი მიდგომა, რომელსაც საბჭოთა კავშირი აყენებს, შეესაბამება როგორც არონციპულად, ისე არსებითად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედის და ლიბერალური პრემიერ-მინისტრ მაკმილანის წინადადებას, რომელიც ჩამოყალიბებულია მათს 1961 წლის 3 სექტემბრის წერილში საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელზე.

საბჭოთა კავშირი იმას ემყარება, განაცხადა ს. კ. ცარაპკინმა, რომ ატომური სახელმწიფოები, რომლებიც ნებაყოფლობით მოაწერენ ხელს შეთანხმებას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, მტკიცედ დაიკავებენ ამ შეთანხმების და არ დაარღვევენ მას. სწორედ საქმის ასეთი გაგებით აწარმოებს საბჭოთა კავშირი ამ მოლაპარაკებას დასავლეთის სახელმწიფოებთან.

ს. კ. ცარაპკინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეერთებულმა შტატებმა გამოიყენეს სხვადასხვა ტექნიკური დისკუსია ამ შეხვედრებზე მხოლოდ იმისათვის, რომ უსასრულოდ გაერთულებინათ, დაეხლართათ და გაეჭიანურებინათ მოლაპარაკება. ისინი ამკარად ესწრაფვოდნენ იმას, რომ უნაყოფო ტექნიკურ დისკუსიებში ჩაახრჩონ საქმის პოლიტიკური არსი და ამრიგად თავი აარიდონ ხალხთა მოთხოვნას ყველა სახეობის ატომური იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივი აკრძალვის შესახებ.

ჩვენ რეალისტები ვართ, გვჯერა ფაქტებისა და არა ამერიკის წარმომადგენელთა განცხადებებისა, თქვა დასასრულ სსრ კავშირის წარმომადგენელმა. ხოლო ფაქტები მოწმობენ, რომ შეერთებული შტატები ცდილობენ მოლაპარაკება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ გამოიყენონ მხოლოდ შირმად, რათა დაფარონ თავიანთი მზადება გამოცდის განახლებისათვის და თვით გამოცდა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა უნდა შეიგნონ, თქვა დასასრულ ს. კ. ცარაპკინმა, რომ მათი ცდები გაიჩაღონ ატომური იარაღის გამოცდა, რათა მიაღწიონ სამხედრო უპირატესობას, სასურველ შედეგებს ვერ მოუტანს. ატომური იარაღის გამოცდის გახანგრძლივებით ამერიკის შეერთებული შტატები კისრულობენ მძიმე პასუხისმგებლობას გამლებულ შეიარაღებაში ახალი, კიდევ უფრო საშიში ეტაპის დაწყებისათვის.

საბჭოთა კავშირს არა სურს შეეჯიბროს ამერიკას შეერთებულ შტატებს მომაკვდინებელი იარაღის შექმნისა და დაგროვებაში. ჩვენ გვინდა მივაღწიოთ ღონისძიებათა გაერთიანებას ნამდვილი განიარაღების საქმეში. საბჭოთა კავშირი ესწრაფვის ამას და მზად არის დაუყოვნებლივ მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ და გამოიყენოს ატომური ენერგიის ეროვნული საშუალებანი ხელშეკრულების დაცვისადმი კონტროლისათვის.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა შეესაბამება ყველა ქვეყნის ინტერესებს: იგი არავითარ სამხედრო უპირატესობას არ აძლევს არავის, და ზიანს არ აყენებს სახელმწიფოთა უშიშროების ინტერესებს. სიგრძოდ, ახლანდელ პირობებში, მხოლოდ ასეთ საფუძველზე შეიძლება შეთანხმების მიღწევა. საჭიროა მხოლოდ ჩვენი დასავლეთელი პარტნიორების კეთილი ნება, ჯერ მათზეა.

ინგრეთში ემზადება...

ბუდაპეშტი, 30 მარტი. (საკდესი). უნგრეთის მშრომელები ემზადებიან დიდი დღესასწაულისათვის — საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის განთავისუფლების 17 წლისთავისათვის. უნგრეთის ქალაქები და სოფლები საღღესასწაულოდ იმოსება.

სასწავლებლებში ეწყობა მოსწავლეებისა და სტუდენტების ტრადიციული კრებები, იმართება მხატვრული თვითმოქმედების საღამოები და დათვალიერებანი. კომპარმიის ოლქის საშუალო სასწავლებელთა მოსწავლეებმა მოაწყეს რუსული ენის სუკეთესო მცოდნეთა კონკურსი. 4 აპრილ, განთავისუფლების წლისთავზე, კონკურსში გამარჯვებულებს გადაეცემათ ალბომები და წიგნები საბჭოთა კავშირის შესახებ.

სადღესასწაულო აბმოსფეროა სამრეწველო საწარმოებში, მუშები დღესასწაულისათვის ამზადებენ ბევრ შრომითს საჩუქარს.

ხოსე-მარია გიდო არგენტინის პრეზიდენტი

ნიუ-იორკი, 30 მარტი. (საკდესი). გუშინ სენატის თავმჯდომარემ ხოსე-მარია გიდომ ფიცი დადო, რომ გრორც არგენტინის ახალმა პრეზიდენტმა, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საბჭენტოს კორესპონდენტი გუენოს-აირესიდან.

მდგომარეობა არგენტინაში

ბუენოს-აირესი, 30 მარტი. (საკდესი). გუშინ არგენტინის სენატის თავმჯდომარემ ხოსე-მარია გიდომ არგენტინის შეიარაღებული ძალების სარდლობის წარმომადგენლებთან თათბირის შემდეგ განაცხადა თანხმობა დაიკავოს არგენტინის პრეზიდენტის პოსტი და დადო ფიცი. გიდოს მიერ არგენტინის პრეზიდენტის პოსტის დაკავების ოფიციალური ცერემონია გაიმართება ღღეს ნაშუადღევს.

აქ ცნობილი გახდა, რომ სამხედროებმა გიდოს წაუყენეს მოთხოვნები, რომლებიც უნდა შეასრულოს მომდინარე წლის 15 აპრილამდე. ეს მოთხოვნები, კერძოდ, შეიცავენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა პერონისტული და კომუნისტური პარტიების საკანონმდებლო წესით აკრძალვა, ახალი მთავრობის თითოეული მინისტრის დანიშვნა მხოლოდ უმაღლეს სამხედრო ხელისუფალთა წარმომადგენლების თანხმობით, სახელმწიფო აპარატის წმენდა, მთავრობის რწმუნებულთა დანიშვნა არგენტინის ყველა პროვინციაში. სამხედროებმა მოითხოვეს აგრეთვე გადაისინჯოს კანონმდებლობა პროფკავშირების შესახებ, რათა პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობიდან გადაიყენონ პერონისტები.

მდგომარეობა არგენტინაში კვლავ დაძაბულია. ბუენოს-აირესში იმართება მასობრივი დემონსტრაციები, რომელთა მონაწილენი მოითხოვენ სამოქალაქო მთავრობის შექმნას. ერთერთი ასეთი დემონსტრაცია, რომელიც გუშინ გაიმართა ქალაქის პლასა დე მაიოს ცენტრალურ მოედანზე, გაფანტა პოლიციამ.

არგენტინის უნივერსიტეტთა ფედერაციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბუენოს-აირესის საელჩო ერევა არგენტინის საშინაო საქმეებში და ცდილობს წარმართოს მოვლენათა მსვლელობა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის სასურველი მიმართულებით.

უცნაური ინტერპრეტაცია

ნიუ-იორკი, 29 მარტი. (საკდესი). გაოცება და დიდი გაკვირვება—ასეთი იყო რეაქცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ორგანიზაციამი და, კერძოდ, გაერთიანებული ორგანიზაციის კოსმოსის კომიტეტში შეეთანხმებინა შტატების უარზე — წარუდგენონ ამ კომიტეტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიის 1961 წლის 20 დეკემბრის რეზოლუციის შესასრულებლად ინფორმაცია ამერიკელი ასტრონავტის გლენის გაფრენის შესახებ. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ეს იმით დაასაბუთა, რომ შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ წარუდგინონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოსმოსის კომიტეტს ინფორმაცია მხოლოდ ისეთი ობიექტების გაშვების რეგისტრაციისათვის, რომლებიც „ჯერ კიდევ ორბიტაზე რჩებიან".

ასეთი „განმარტება", მეტი რომ არა ვთქვათ, უცნაურია. რეზოლუციის შესაბამის დებულებაში ხომ ნათლად არის ნათქვამი, რომ სახელმწიფოებმა, რომლებიც უშვებენ აპარატებს ორბიტაზე ან უფრო შორს, „დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების კომიტეტს ინფორმაცია გენერალური მდივნის მეშვეობით გამშვების რეგისტრაციისათვის".

აქ იხსენებენ, რომ შეერთებულმა შტატებმა ამ რეზოლუციას მისცეს ხმა და აღნიშნავენ, რომ დებულება გამშვების რეგისტრაციის შესახებ შეტანილ იქნა რეზოლუციაში, რათა ხელი შეეწყოთ იმისათვის, რომ გაშვების შედეგად მიღებული მონაცემები სასარგებლო გამხდარიყო და მთელი მსოფლიო მეცნიერებისათვის მისაწვდომი ყოფილიყო. ამასთან შეერთებულ შტატებს მაშინ არაფერი უთქვამთ იმის წინააღმდეგ, რომ ეს დებულება შეეტანათ რეზოლუციაში, რომელიც ძირითადად ერთობლივად შეიმუშავეს საბჭოთა კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

ახლა კი, როცა საბჭოთა მთავრობის მეთაურსა და პრეზიდენტ კენედის შორის, კოსმოსური სივრცის შესწავლისა და მშვიდობიანი მიზნით გამოყენების საკითხებზე წერილების გაცვლის შედეგად დასახა მთელი კაცობრიობისათვის ამ ესოდენ დიდმნიშვნელოვან დარგში კონსტრუქციული საერთაშორისო თანამშრომლობის გზა, ამერიკის შეერთებული შტატები უკან იხევენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში და ამერიკის პრესაშიც აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირმა ამა წლის 24 მარტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოსმოსის კომიტეტს დაუგზავნა ინფორმაცია ინფორმაციის წარუდგენლობისა და ინფორმაციის ინფორმაციის ინფორმაციის

ლიტერატურა და ხელოვნება

ჩვენი მეგობარი

ბავშვი თავისებური მეოცნებეა. თავის განსხვავებულ წარმოდგენებში ტრიალებს და იქიდან უყურებს და განიცდის გარემოს. ეს წარმოდგენები ხშირად ფანტასტიკურია და ზღაპრული, მაგრამ ბავშვს სჯერა ამ ზღაპრის, და რახან სჯერა, ტკბება კიდეც. ამიტომ არის, რომ ბავშვს უყვარს ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც მის წარმოდგენებს ავსებს, აფართოებს და გარკვეული ვზით წარმართავს.

რუსული საბავშვო პოეზიის მშვენება კორნეი ჩუკოვსკი სწორედ ასეთი ნაწარმოებებით გახდა საყვარელი მწერალი მილიონობით საბჭოთა ბავშვისათვის. მისი ლექსები და ლექსად დაწერილი ზღაპრები ხასიათდება ბავშვებისათვის საყვარელი ფანტასტიკურობითა და უცნაურობით.

აი მურიანი ბიჭი. ფაქტი ჩვეულებრივია: ბავშვს, სამწუხაროდ, არ უყვარს სისუფთავე, მაგრამ აბა ნახეთ რა ხდება მის გარშემო! მურიან ბიჭს ტოვებენ და ჭარბიან აღშფოთებული წიგნები, სამელნე, სამანი, ზეწარი, ჯამ-ჭურჭელი... სურათი დინამიურია, მკითხველის დამაინტერესებელი და დამშყრობი. შთაბეჭდილება ძლიერდება, როცა საქმეში ერევა ბიჭზე გაბრაზებული პირსაბანი. იგი შეუყვირებს ბიჭს, გაკიცხავს და თანვე ათამაშებს თავის ჯარს — წყალს, საპონს, ტბილის ფხვნილს, ჯაგრისებს... ნაწარმოების ფინალში ბიჭი უკვე სუფთაა, მასთან ბრუნდებიან გაქცეული ნივთები. ნაწარმოებში არსად არა ჩანს დიდაქტიკა, გგონია, ეს ფაბულიანი ლექსი დაწერილია გასართობად, მაგრამ მასში დიდაქტიკაც არის, იუმორიც და სულის გამწმენდი გასართობი საზიზღარიც.

ეს არის ერთი ნიმუში კორნეი ჩუკოვსკის მდიდარი შემოქმედებიდან.

ექიმ აიბოლიტის სამოქმედო სფერო სულ სხვა გვარია. აქ წმინდა ფანტასტიკური სამყაროა, მაგრამ სინამდვილის წყაროთი მორწყული და გაცოცხლებული. აქ ბავშვიბლავს ექიმ აიბოლიტის კეთილი საქმეები და მისი ჯადოქრობა. ის ხომ ყოველგვარ ავადმყოფობას კურნავს. ავადმყოფი შვილების დედა მხეცების მიწვევით აფრიკაშიც მიდის, სადაც არჩენს პაწაწინა სპილოებს, პაწაწინა ბეჭემოთებს და ყველა მხეცს დაავადებულ შვილებს. დიდია ამ ნაწარმოების შთამაგონებელი ძალა. სინამდვილის წყაროთი გაზრდილი და დამწიფებული ნაყოფი ფანტასტიკური გარემოდან თავის მასაზრდოებელ სინამდვილეს უბრუნდება, ამაღლებს და აკეთილშობილებს მკითხველს, ამხნევებს და ბიძგს აძლევს სიძნელეთა დასაძლევად, რათა კეთილი საქმეები აკეთოს.

მკითხველის მეხსიერებიდან არ ამოიშლება კ. ჩუკოვსკის ლექსებში დანახული ბუზი-ბუზანკალის თავმომწონეობა და მისი სტუმრების საქციელი, მზის მომტაცებელ ნიანგთან დათვის ბრძოლა და მზის განთავისუფლებით გახარებული ცხოველები, ცუდი დიასახლისობით გამოწვეული ფედოსიას გასაჭირი და სხვა მრავალი. ძნელია კორნეი ჩუკოვსკის შემოქმედების სიმდიდრისა და მრავალფეროვნების დანახვა თვალის ერთი მოვლებით; ძნელია მკითხველს ერთი ამოსუნთქვით აგრძნობინო ენის ის სისადავე, ის რიტმი და სიუჟეტის დინამიურობა, რაც ამ შესანიშნავი პოეტის ქმნილებებს ახასიათებს.

პოეტს ვამბობთ ზემოთ თქმულთან დაკავშირებით, მაგრამ კ. ჩუკოვსკი მრავალმხრივი მწერალია. ის არის ლიტერატურის მკოდნე — მკვლევარი, შესანიშნავი მთარგმნელი და ჟურნალისტი. მის კალამს ეკუთვნის მრავალი სტატია და გამოკვლევა, რომლებიც მოცემულია XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ღრმა ანალიზი და ნაჩვენებია მისი სიმდიდრე და სიმშვენიერე. განსაკუთრებით აღსანიშნავია კ. ჩუკოვსკის შრომა ნ. ნეკრასოვის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.



კორნეი ჩუკოვსკის დაბადების 80 წლისთავის გამო

ქ. ჩუკოვსკის თარგმნილი აქვს უ. უტმენის, მ. ტვენის, რ. კიპლინგის, დ. დეფოს და სხვა მწერალთა ნაწარმოებები. მისი მოგონებები რუს მოღვაწეებზე მემკვიდრეული ლიტერატურის ძვირფასი ნიმუშებია.

კორნეი ჩუკოვსკის 80 წელი შეესრულდა, მაგრამ მისი ნაწარმოებები ხანში არ შესულან და დიდხანსაც ვერ მიეკარება მათ სიბერე.

გიორგი კაჭახიძე.

• • •

სურათზე: კორნეი ჩუკოვსკი. მწერალს ხელში უჭირავს ჟურნალი „სიგნალი", რომლის რედაქტორიც იყო იგი 1905 წელს. ფოტო მ. პოლიანოვსკისა.

„ორიდან ხუთამდე"

ასე ჰქვია კორნეი ჩუკოვსკის ერთ-ერთ ცნობილ წიგნს, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე ქმნიდა მწერალი.

„ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინათ. მე ახალგაზრდა კაცი ვიყავი. ჩემი სახლი ზღვის პირას იდგა. იქვე ფანჯრების წინ ცხელ ქვიშაზე უამრავი ბავშვი ირეოდა... დილიდან საღამომდე ზღვის პირას დავდიოდი და მალე დავუმეგობრდი კიდეც იმ პატარებს. ჩემს ირგვლივ ერთი წუთით არ წყდებოდა ტიტინი და ღუღუნი. პირველად ბავშვთა წკრიალა ხმა თითქოს მართობდა, მაგრამ გავიდა კარგა ხანი და მივხვდი, რომ თავისთავად მშვენიერ ამ ბავშვურ მეტყველებას უეჭველი მეცნიერული ღირებულებაც ჰქონდა. ამ მეტყველების კვლევით ჩვენს წინ ბავშვური აზროვნების საოცარი კანონზომიერება იშლება.

ამ კანონზომიერებათა პოვნა და მკაფიოდ ჩამოყალიბება იქცა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ამოცანად, რომლის გადაწყვეტასაც ამ წიგნში ვცდილობ".

ასე წერს კორნეი ჩუკოვსკი თავისი წიგნის შესავალში.

ქვემოთ ვაქვეყნებთ რამდენიმე ნიმუშს წიგნიდან „ორიდან ხუთამდე".

— დახატა ყვავილები, ირგვლივ უამრავი წერტილი დასვა.

— ეს რა, ბუზია?

— არა, ყვავილების სული!

———

— როცა ჩვენთან დდეა, ამერიკაში ღამეა.

— ახია, ეგრე უნდათ ბურჟუებს!

———

— პუშკინი დუელში მოკლეს...

— მერე სად იყო მილიციონერი?

———

— ღმერთებს ნაწლავები არა აქვთ?

— არა.

— აბა, როგორ სადილობენ?

———

პაპა არიგებს ოთხი წლის შეილიშვილს:

— ნუ სვრი სუფრას! ბებიამ იმდენი რეცხა, დაუთოებაზე ეწვალა. სხვისი შრომა უნდა დაიფასო.

— ბებია სხვისი კი არა, ჩემია!

———

ხუთი წლის საშა:

— დედა, ზაფხულშიც არის ხოლმე ციცინომი?

———

იური ჩაიკოვსკი (ხუთი წლისა):

— ამერიკაში მართლა სულ ელექტროსკამებია?

———

— დედა, დედა, უყურე, ვიღაცამ მთვარე გამორთო!

———

თქმულება ორ კუზიან აქლემზე.

დედა ეუბნება თავის ორი წლის გოგონას:

— ჩამოდი ფანჯრიდან, თორემ ჩავარდები და ამოგიგავ კუზი.

— აქლემი ალბათ ორჯერ ჩავარდა, არა!

———

მარინა ტალაშენკომ ხიდიდან მატარებელი დაინახა:

— უყურე, უყურე! ორთქლმავალი ღრუბლებს აკეთებს.

ᲣᲚᲔᲠᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

რეპორტაჟი კომპოზიტორთა ყრილოგიდან

უკვე რამდენიმე დღეა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში მუშაობს საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა მესამე ყრილობა. მუსიკოსთა ამ დიდი ფორუმის მონაწილენი განიხილავენ საბჭოთა მუსიკალური კულტურის მდგომარეობას და მისი განვითარების პერსპექტივებს.

ყრილობაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სსრ კავშირის ხალხთა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური მუსიკის საკითხებს.

ყრილობის პროგრამით გათვალისწინებულ კონცერტებზე ყრილობის მონაწილეებმა მოისმინეს ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მინდია" და ახალგაზრდა კომპოზიტორის სულხან ნასიძის საფორტეპიანო კონცერტი თენგიზ ამირეჯიბის შესრულებით.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **არამ ხაჩატურიანმა** გაზეთ **„კომუნისტის"** კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— სულხან ნასიძის საფორტეპიანო კონცერტმა ჩემი ყურადღება მიიპყრო სიახლით, ქართული სულნელებით, მკაფიოდ გამოხატული თანამედროვე მუსიკალური ენით.

მან რამდენიმე შენიშვნა გააკეთა ნაწარმოების კომპოზიციურ მხარეზე და დაუმატა: — ნასიძე უდავოდ ნიჭიერი და კარგი მომავლის მქონე კომპოზიტორია, ხოლო ამირეჯიბი პირველი კლასის თვითმყოფად არტისტად მიმაჩნია.

ოპერა „მინდიაზე" ილაპარაკა ბელორუსიის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **ე. ტიოცკიმ.** მან თქვა:

— მუსიკოსთა წრეებში ხშირად ლაპარაკობენ, რომ ოპერამ, როგორც ჟანრმა, დრო მოჭამა. „მინდიას" მოსმენის შემდეგ ერთხელ კიდევ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, თუ რაოდენ უსუსურია ეს მოსაზრება. თაქთაქიშვილმა დაგვანახვა თანამედროვე ოპერის, როგორც ჟანრის უდიდესი შესაძლებლობანი.

ბულგარელმა კომპოზიტორმა **ტოდორ პოპოვმა** „მინდიას" უმშვენიერესი ოპერა უწოდა.

ᲣᲙᲐᲕᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲐᲜᲘᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ

უკრაინელმა კომპოზიტორმა **გ. მაიბოროდამ** ოპერას „მალი შეფასება მისცა, ილაპარაკა მის დადებით მხარეებზე და გამოთქვა ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნაც.

— სულხან ნასიძის მუსიკა უაღრესად სასიამოვნო მოსასმენია, ხოლო თენგიზ ამირეჯიბი შემსრულებლობითი ხელოვნების კარგი ოსტატია, — ასეთი აზრის არის ნორვეგიელი კომპოზიტორი **კლაუს ეგგეი.**

ყრილობის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე ბ. კვერნაძის სიმფონია, ო. გორდელის საესტრადო ნაწარმოებები და —გ. ციცუშვილის „მოგონება", შ. მილორავის „ჩემო კარგო", გ. ცაბაძის „ლალე", ლ. იაშვილის „ია, ია" ლილი გეგელიას შესრულებით.

ᲒᲚ. ᲐᲚᲤᲔᲜᲘᲫᲔ.

მოსკოვი.

სურათზე: სსრ კავშირის კომპოზიტორთა მესამე საკავშირო ყრილობის მონაწილენი სხდომებს შორის შესვენების დროს (მარცხნიდან მარჯვნივ) ა. მაჯავარიანი, დ. შოსტაკოვიჩი და ო. თაქთაქიშვილი.

ფოტო ბ. მანიჩისა.

ახალი წიგნები

გიორგი ნატროშვილი — წინაპარნი და თანამედროვენი. ლიტერატურული ნარკვევები. წიგნის რედაქტორია ნ. ინასარიძე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". გვერდი 396, ფასი 1 მან.

სიმონ მთვარაძე — ფალავანი. მოთხრობა. წიგნის რედაქტორია ა. ღვინიაშვილი, მხატვარი — გ. ნინიძე. საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული". გვერდი 98, ფასი 13 კაპ.

ლადო გელაშვილი — ულელტეხილის გაზაფხული. ნარკვევები. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობა, ცხინვალი. გვერდი 120, ფასი 28 კაპ.

გ. ცეცხლაძე — ახალი ლექსები. წიგნის რედაქტორია მ. ფოცხიშვილი, მხატვარი — ზ. გოგოლაძე. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი". გვერდი 82, ფასი 14 კაპ.

ვერა ჩაკლინა — ჩემი აღზრდილები. თარგმანი რუსულიდან თამარ ღვინიაშვილისა. წიგნის რედაქტორია მ. ჯავახიძე. საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული". გვერდი 188, ფასი 23 კაპ.

ᲛᲐᲠ-ᲓᲔᲚ-ᲞᲚᲐᲢᲐᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ბუენოს-აირესი, 29 მარტი. (საკდესი). საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის ხუთი ტურის შემდეგ, რომელიც არგენტინის ქალაქ მარ-დელ-პლატაში მიმდინარეობს, უწინდებურად წინ არის გროსმაისტერთა სამეული — ლევ პოლუგაევსკი (სსრ კავშირი), არგენტინელი მ. ნაიდორფი და უნგრელი ლ. სბოლიდერებს ოთხ-ოთხი ქულა აქვთ.

მეხუთე ტურში პოლუგაევსკისა და ჩეხოსლოვაკიელი გროსმაისტერის ლ. პახმანის შეხვედრა მალე ყაიმით დამთავრდა. წინა ტურებიდან გადადებული მისი პარტია ამერიკელ დ. ბირნთან ასევე ყაიმით დამთავრდა.

ნაიდორფმა და საბომ მეხუთე ტურში გამარჯვება მოიპოვეს შავებით. არგენტინელმა მოუგო ჩილიელ რ. ლეტელიეს, ხოლო უნგრელმა მოჭადრაკემ — არგენტინელი ე. ელიაკაზესს.

ლიდერთა ჯგუფს მიუახლოვდა არგენტინელი ო. პაბო, რომელსაც 3,5 ქულა აქვს.

ტურნირის მეორე საბჭოთა მონაწილემ — მსოფლიო ექს-ჩემპიონმა ვასილ სმისლოვმა ხუთ ტურში მოიგო ორი პარტია, ამდენივე ყაიმით დაამთავრა და ერთ შეხვედრაში დამარცხება განიცადა. იგი მეხუთე-მეშვიდე ადგილებს იყოფს პახმანთან და ინგლისელ დ. პენროუზთან.

არგენტინის პრესა დიდ შეფასებას აძლევს პოლუგაევსკის თამაშს და იმედოვნებს, რომ სმისლოვიც გამოასწორებს თავის სატურნირო მდგომარეობას.

ᲡᲐᲒᲒᲮᲝᲗᲐ ᲢᲐᲜᲛᲝᲕᲐᲠᲯᲘᲨᲔᲔᲑᲘ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐᲨᲘ

ვენა, 29 მარტი. (საკდესი). ავსტრიაში სტუმრად იმყოფება საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ჯგუფი, რომელთა შორის არიან ოლიმპიურმ ჩემპიონები ალბერტ აზარიანი და ლარისა ლატინინა. ქალაქ გრაცის ერთ-ერთ უდიდეს სასპორტო დარბაზში — „ავსტრიაში" გაიმართა მათი პირველი გამოსვლა.

„ავსტრიელმა" ვერ დაიტია საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლის ყველა მსურველი. ავსტრიის პრესის აზრით, საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა ცხადყვეს ჭეშმარიტად საერთაშორისო კლასის მაღალი ოსტატობა. განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია ლატინინასა და აზარიანის ვარჯიშმა. ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატებიდან სპორტის სპეციალისტები გამოყოფენ ანატოლი ოვსიანიკოვს, რომელმაც რგოლებზე ვარჯიშში „თავისი მასწავლებლის — აზარიანის ფანტასტიკურ მიღწევებსაც კი გადააჭარბა".

ᲛᲔᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲐᲢᲝᲠᲘ

უველამ იცის, რომ ცენტრალური გათბობის რადიატორები ლითონისაგან, უფრო სწორად, თუჯისაგან მზადდება. მასალა, რომელიც წლის განმავლობაში რადიატორების წარმოებისათვის იხარჯება, ერთ ადგილას რომ დავაწყოთ, ოცსართულიანი სახლის სიმაღლის მთა წარმოიქმნება. ერთ ოთახად ბინას 100 კილოგრამი ლითონი სჭირდება. აი რატომ არის, რომ ინჟინრები და გამომგონებლები ეძებენ გათბობისათვის ლითონის სრულფასოვან შემცველს.

მომდინარე წლის ზამთარში მოსკოვის ახალი რაიონის ფილი-მაზილოვოს მშენებლობაზე რამდენიმე დატვირთული ავტომანქანა მივიდა. მანქანების ძარაზე იდო არაჩვეულებრივი რადიატორები — ბეტონისა, რომლებიც ბინებში დადგეს.

ახალმოსახლეებს პირველ ხანებში ეშინოდათ, რადიატორს წყალი რომ გაუვიდეს ან ოთახი საათსადიდ ვერ გათბოს.

მაგრამ შიში უსაფუძვლო გამოდგა. ვიღრე ასეთ რადიატორებს ბინებში დადგამდნენ, ამ ტექნიკური სიახლის შემქმნელებმა — სსრ კავშირის არქიტექტურისა და მშენებლობის აკადემიის მეცნიერებმა და ინჟინრებმა იგი ყოველმხრივ გამოსცადეს. დამტკიცებულია, რომ ბეტონის რადიატორები არათუ წყალგაუმტარია, არამედ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მათი ზედაპირი თანაბრადაც თბება.

ახლა ფილი-მაზილოვოს მშენებლები აპირებენ ბეტონის რადიატორები სხვა საცხოვრებელ კორპუსებშიც დადგან.

ᲒᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲛᲔᲯᲐ ᲡᲐᲡᲐᲕᲔᲑᲘ

ვოლგოგრადის მაღაზიებში ყოველდღე შეიძლება იყიდოთ ჩინებული კიტრი, პამიდორი, კომბოსტო და გამყიდველებს ხშირად ეკითხებიან, ეს ბოსტნეული საიდან ჩამოიტანეთო. მომხმარებლები გაოცებული რჩებიან, როცა შეიტყობენ, რომ ყოველივე ეს მოტანილია ვოლგა-დონის ლენინის სახელობის სანაოსნო არხის ფსკერზე მდებარე „საწყობებიდან".

ეს რა საცავებია? გასულ შემოდგომაზე არხის გაყოლებით მდებარე საბჭოთა მეურნეობები არაჩვეულებრივი მუშაობით იყვნენ გართულნი. მებოსტნეთა ბრიგადები წყალში უშვებდნენ კიტრის, პამიდორისა და კომბოსტოს მწნილით სავსე კასრებს. იმ ადგილას, სადაც ეს კასრები ფსკერში ჩაუშვეს, მუშებმა გამოსაცნობი ნიშნები დადგეს. ზამთარში ყინული ამოჭრეს და ჯალამბრების საშეალებით კასრები ამოიღეს. კასრები რომ გახსნეს, პამიდორი, კიტრი და კომბოსტო ჩინებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეს იმით აიხსნება, რომ წყალსაცავის ფსკერზე ტემპერატურა განსაკუთრებით ხელსაყრელია ბოსტნეულის ხანგრძლივად შენახვისათვის. ახლა თითქმის მთელი ბოსტნეული ინახება არა საწყობებში, არამედ წყალქვეშ, და როცა საჭიროა, იგი ზევით ამოაქვთ და პირდაპირ მაღაზიებში მიაქვთ. ვოლგოგრადელების მაგალითს ქალაქ კამიშინის დამამზადებლებმაც მიბაძეს.

საარენტო „ახალი ამბები".

3. ᲣᲚᲛᲐᲜᲘ

პრეტენდენტთა ტურნირის სათამაშრიგზე მონაწილეა

ბუდაპეშტი, 29 მარტი. (საკდესი). გროსმაისტერმა ვოლფგანგ ულმანმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) მოიპოვა უფლება იყოს მ. ბოტვინიკთან მატჩის პრეტენდენტთა ტურნირის სათამაშრიგო მოხაწილე. როგორც ცნობილია, სტოკჰოლმის საზონათშორისო ტურნირზე მან უნგრელ გროსმაისტერ ლაიოშ პორტიშთან ერთად გაიყო 9-10 ადგილი.

ამ გროსმაისტერებს შორის დამატებითმა მატჩმა, რომელიც ბუდაპეშტში გაიმართა, არც ერთ მოხაწილეს არ მისცა უპირატესობა: თვითეულმა მათგანმა მოიგო თითო პარტია და ორი ყაიმით დამთავრდა.

როგორღა გამოირკვა გამარჯვებული? ულმანმა სტოკჰოლმში მეტი გამარჯვება მოიპოვა, ვიდრე პორტიშმა, და მას მიეკუთვნა მეცხრე ადგილი.

„ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ" ᲝᲠᲗᲐᲑᲠᲫᲝᲚᲐ

კოპენჰაგენი, 29 მარტი. (საკდესი). ორი კვირის განმავლობაში დანიის ჭადრაკის მოყვარულებს აინტერესებდათ გროსმაისტერების — ამერიკელი ფ

ერისა და დანიელი ლარსენის ორთაბრძოლის შედეგი, რომელიც, როგორც ცნობილია, კარჩაკეტილში გაიმართა. გუშინ გვიან საღამოს ორივე გროსმაისტერმა ტელევიზიით „გააანალიზა" ეს პარტია, ფიგურების სწრაფი გადაადგილებით. გადაცემის დასასრულს გამოაცხადეს, რომ მეხვედრა, რომელიც ხუთ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა, ფიფერის გამარჯვებით დამთავრდა. მაგრამ ჭადრაკის მოყვარულთა მეღვარება ამით არ დამთავრებულა.

გროსმაისტერთა ჰონორარი, რომლითაც, როგორც ჩანს, შეიისყიდეს ეს შეხვედრა დანიის რადიომ და ტელევიზიამ, იყო ამ ზედმეტი საიდუმლოების მიზეზი.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

☐ **გუდაუთი.** (საკ. კორ.). აქ გაიმართა საკონტროლო მატჩი ფეხბურთში ქუთაისის „ტორპედოსა" და სევრდლოვსკის „მეტალურგის" გუნდებს შორის. გიმარჯვეს ქუთაისელებმა ანგარიშით 3:1.

☐ **ხარკოვი** დასასრულს უახლოვდება ფრენბურთელ გოგონათა საკავშირო ასპარეზობა. ამ შეჯიბრებაში საქართველოდან გამოდის თბილისის განათლების განყოფილების გუნდი.

თბილისელებმა ფინალში, სადაც ექვსი გუნდი მონაწილეობს, დამარცხეს მოსკოვის „დინამოსა" და „სპარტაკის", აგრეთვე კიევის გუნდები 3:0, 3:0, 3:1 და ლიდერობას ინარჩუნებენ.

☐ **გუშინ** თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე დამთავრდა ასპარეზობა მძლეოსნობაში საქართველოსა და აზერბაიჯანის მოზარდ სპორტსმენთა გუნდებს შორის.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა მ. ოყროშიძემ ბირთვი კრა 17 მეტრსა და 82 სანტიმეტრზე და დამყარა სსრ კავშირის ახალი რეკორდი ჭაბუკთა შორის.

ᲜᲐᲮᲔᲗ, ᲛᲝᲣᲡᲛᲘᲜᲔᲗ

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და გალეტის სახელმწიფო თეატრი

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტის

დავით გაფრინდის გასტროლები

კვირას, 1 აპრილს

ჯ. ვერდი

„ᲢᲠᲐᲕᲘᲐᲢᲐ"

ალფრედის პარტიას შეასრულებს

დ. ბაფრინდი

დასაწყისი 7 ს. და 30 წ.

ბილეთები იყიდება.

31 მარტი



თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ალი (დღისით), დემონი (საღამოს), მე-10 ამონ. მე-9 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — თანამედროვე ტრაგედია (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ბაბთიანი გოგონა (დღისით), მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — წესგარეშე თამაში (დღისით და საღამოს),

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

18.00 — სატელევიზიო ჟურნალი ოქტომბრელთათვის „ჯეკილი", 18.35 — ლიტერატურული კონცერტი მოსწავლეთა მოხაწილეობით, 19.00 — კინოჟურნალი, 19.10 — სატელევიზიო ჟურნალი „სპორტი", 20.00 — გადაცემა — „იცი თუ არა შენ"..., 20.15 — კინოხარკვევი, 20.25 — საესტრადო კონცერტი „სიყვარულის ძელდიები", 21.05 — „ახალი ამბები, 21.20 — მხატვრული ფილმი „უცოლო კაცის ცხოვრება".



ᲙᲘᲜᲝ

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი — ბრალდების მოწმე, **ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ეშმაკეული ცამეტი, **ამირანი, სპარტაკი, საქართველო** (მწვანე დაბადები), **კოლხიდა** — შურისძიება, **თბილისი** — პერის ქუჩა, **კომკავშირელი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, დიდუბე, გაზაფხული** — ჩვენი საერთო ბედბარი.

1962 წლის 1 აპრილიდან თბილისის აეროპორტზე დანიშნულია შემდეგი რეისები:

თბილისიდან ყოველდღე გავა თვითმფრინავი ტუ-104-ბ, რეისი 661, თბილისი-კიევ-ლენინგრადის მარშრუტით. თბილისიდან გაფრენა განრიგების მიხედვით 12 საათსა და 05 წუთზე მოსკოვის დროით.

კვირაში ოთხჯერ — ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობითა და შაბათობით — თბილისიდან გავა თვითმფრინავი ილ-18, რეისი 491, თბილის-ადლერის მარშრუტით. თბილისიდან გაფრენა 14 საათსა და 35 წუთზე მოსკოვის დროით.

კვირაში ოთხჯერ — სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით — თბილისიდან გავა თვითმფრინავი ილ-18, რეისი 492, თბილის-ბაკო-ტაშკენტის მარშრუტით. თბილისიდან გაფრენა 10 საათსა და 45 წუთზე მოსკოვის დროით.

კვირაში ორჯერ — ოთხშაბათობითა და კვირაობით — თბილისიდან გავა თვითმფრინავი ილ-18, რეისი 821, თბილის-ადლერ (სოჭი)-სიმფეროპოლის მარშრუტით. თბილისიდან გაფრენა 13 საათსა და 10 წუთზე მოსკოვის დროით.

კვირაში ორჯერ — ორშაბათობითა და ხუთშაბათობით — თბილისიდან გავა თვითმფრინავი ილ-18, რეისი 822, თბილის-ბაკოს მარშრუტით. თბილისიდან გაფრენა 13 საათსა და 55 წუთზე მოსკოვის დროით.

ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲥᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ

☐ **გეგეჭორი.** (საკ. კორ.). ყოველწლიურად იზრდება საკოლმეურნეო სოფლის შემოსავალი. ახლა მორეული მთიანი სოფლები დაბას მოგაგონებთ — კოლმეურნეთა მარჯვენით ამენდა და დამშვენდა ეს სოფლები.

აქ ფართოდ გაიშალა ინდივიდუალური ბინათმშენებლობა. კოლმეურნეები სახელმწიფოსაგან იღებენ სამენ მასალებს — ცემენტს, აგურს, ხე-ტყეს. მარტო გასულ წელს 300-მდე მოწინავე კოლმეურნემ აიშენა ორსართულიანი სახლი.

☐ **ამ** უკანასკნელ წლებში მარნეულის რაიონში რამდენიმე ახალი კაპიტალური ხიდი აიგო.

საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ხიდები თბილის-ერევნის გზაზე — სოფელ ქვესლოსთან, მდინარე ხრამზე — სოფელ ამირთან, ახლახან კაპიტალური და არქიტექტურულად ლამაზი ხიდი აიგო აგრეთვე მდინარე დებედა-ჩაიზე. ამ ხიდით მოსახლეობა შეუფერხებლად დაუკავშირდა რაიონის ცენტრსა და თბილისს.

(„კომუნისტის" კორ.).

თელავი. (საკ. კორ.). აქაურმა მცხოვრებმა დიასახლისმა სირანა ბეჟურიძემ წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1962 წლის პირველი გამოშვების ლატარიის 01591 სერიის № 131 ბილეთი, რომელმაც ავტომანქანა „მოსკვიჩი" მოიგო.

• • •

ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲨᲘ საექსპლოატაციოდ გადაეცა **ახალი 420-ადგილიანი კინოთეატრი „გურია".**

სურათზე: ახალი კინოთეატრი ჩოხატაურში.

ფოტო გ. გერსამიასი.

(საქმესის ფოტოქრონიკა).



ᲛᲝᲮᲣᲪᲛᲐ ᲥᲐᲚᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ

წყალტუბო. (საკ. კორ.). სოფელ გვიშტიბში კ. მიქაბერიძის სახლის სახურავზე უეცრად კვამლის ქულა ავარდა, მალე მიიწევდნენ ცეცხლის ენები, შიფერმა ტკაცუნი დაიწყო...

ეს 70 წლის მეზობელმა მარიამ თუთბერიძემ შენიშნა. იგი მიხვდა, რომ ოჯახის უფროსები შინ არ იყვნენ, უმალ გაიფიქრა — შეიძლება ძუძუმწოვარა ბავშვი მარტოდმარტოა დარჩენილიო. მოხუცი ალმოდებულ სახლში შევარდა, ხუთი თვის ბავშვი აკვნიანად გარეთ გამოიყვანა.

როგორც გამოირკვა, დედას მარტოდ დაეტოვებინა აკვანში ჩაწოლილი ბავშვი და ანთებული ნავთქურა, თვითონ კი მეზობელთან გადასულიყო. უმეთვალყუროდ დატოვებულ ნავთქურას ცეცხლი გასჩენოდა. დაუდევრობას ცუდი შედეგი მოჰყვა, სტიქიამ თავისი გაიტანა. მაგრამ უველაზე ძვირფასი — ბავშვის სიცოცხლე გადარჩა.

მოხუცმა ქალმა მ. თუთბერიძემ ბავშვის მშობლებისა და გვიშტიბელ კოლმეურნეთა მადლობა დაიმსახურა.

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ, ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ, ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ



ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲝᲠᲘ „ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ"

ახალი ტელევიზორის „უკრაინის" ფორმა თავისებური და ორიგინალური. დღემდე მისი რთული „მეურნეობა" — წინააღმდეგობანი, კოდფესსატორები და ნათურები მონტაჟდებოდა სატელევიზიო მილაკის — კინესკოპის გვერდით და ყველაფერი ეს დადგმული იყო დიდ ყუთში, ხოლო უკანა კედელზე მაგრდებოდა სხვადასხვა რეგულატორები.

აქ კი მთელი ეს „მეურნეობა" მოთავსებულია პატარა ლამაზ მაგიდაში, რომელიც ოთახს დაამშვენებს. მაგიდის ზევით არის მხოლოდ სატელევიზიო მილაკი პლასტმასის ლამაზ ფუტლარში. კინესკოპი თავისუფლად მოძრაობს საყრდენზე. ხელის ოდნავი შეხება, და ეკრანი შეგიძლიათ დააყენოთ ნებისმიერ მდგომარეობაში.

მოწყობილობის ჩართვა და გამორთვა შესაძლებელია შორიდანაც სადისტანციო მართვის მეშვეობით. ამის გარდა, ამ კონსოლურ ტელევიზორზე, რომელსაც ლვოვის სახალხო მეურნეობის საბჭოს ქარხანა უშვებს, ნაკლებად მოქმედებს გარეგანი ხელშემშლელი ფაქტორები. მაშინაც კი, როდესაც ახლომახლო რენტგენის დანადგარი მუშაობს, მოწყობილობა ნორმალურად, „სუფთად" იღებს ტელეგადაცემას. იგი აღჭურვილია გამოსახულების სიმკვეთრისა და კონტრასტულობის ავტომატური მარეგულირებელით.

ეკრანის ზომაა 470×370 მილიმეტრი. ტელევიზორის აკუსტიკური სისტემა შედგება ოთხი